დანართი 1

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდოს

- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედლის ნიმუში

ნიმუში

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდო - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედალი წარმოადგენს მეტალის 34 მმ დიამეტრისა და 3.5 მმ სისქის წიბოს მქონე, ოქროცურვილით დაფერილ, ორმხრივ, ერთიან სხმულს, საკიდი ყუნწით, რომელიც შესაბამის 45მმ სიმაღლისა და 32მმ სიგანის, მედალთან შეერთების მხარეს ორმხრივ ცერად წაკვეთილ საკიდ სალენტე ბაფთაზე მიერთებულია ორრგოლიანი ოქროთი დაფერილი საკიდი ჯაჭვით.

მედლის ავერსი:

ავერსის ოქროს ველი შემოსაზღვრულია რელიეფური ძგიდით (ბორდიურით); ავერსის ველის ცენტრში რელიეფურად გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დიდი გერბი რომელსაც შემოსაზღვრავს მაყურებლის მხრიდან მარცხნიდან მარჯვნივ რელიეფური წარწერა - „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო“;

გერბის სადევიზე ბაფთის ქვეშ განთავსებულია რელიეფური, ერთმანეთზე გადაჭდობილი დაფნის ტოტები.

მედლის რევერსი:

რევერსის ოქროს ველი შემოსაზღვრულია რელიეფური ძგიდით (ბორდიურით);

რევერსის ზედა ნახევარზე ჩატვიფრულია სულხან-საბა ორბელიანის ფრაზა - სადევიზე წარწერა - „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“;

რევერსის ქვედა მარჯვენა მეოთხედში, მაყურებლის მხრიდან, განთავსებულია სულხან-საბა ორბელიანის რელიეფური ფაქსიმილე - ხელრთვა;

რევერსის ქვედა ნაწილში განთავსებულია რელიეფური თარიღი - „1658-1725“;

რომლის ქვემოთაც ცენტრალური ღერძის ჩასწვრივ საჭიროების მიხედვით დატანილი იქნება ნუმერაცია გრავირების მეთოდით.

მედლის საკიდი ბაფთა:

საკიდი ბაფთა წარმოადგენს მუქცისფერ ატლასის (აბრეშუმის) ნაქსოვ რელიეფურ ლენტს ორი გადამკვეთი, ვერტიკალური, 4 მმ სიგანის თეთრი ზოლით, რომლებიც კიდეებიდან დაცილებულებია შესაბამისად 2-2 მილიმეტრით;

საკიდი ბაფთის ზურგის ზედა ნაწილში განთავსებულია ჰორიზონტალური, ჩამკეტიანი სამაგრი-სარჭი.

მედლის თამასა:

მედლის თამასა წარმოადგენს 32 მმ სიგანისა და 10 მმ სიმაღლის მეტალის ფირფიტას, ჰორიზონტალური, ჩამკეტიანი სამაგრი-სარჭით;

მედლის თამასა დაფარულია სალენტე ბაფთით;

მედლის თამასის წინა მხარეს ცენტრში განთავსებულია 8 მმ დიამეტრის, მეტალის, ოქროთი დაფერილი მინიატურა - სულხან-საბა ორბელიანის ხელრთვა.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდოთი - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედლით დაჯილდოების სერთიფიკატის ქართულენოვანი ფორმა

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უწყებრივი ჯილდოთი - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მედლით დაჯილდოების სერთიფიკატის ინგლისურენოვანი ფორმა